რეცენზია სტატიაზე

ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა -

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და საქართველო

თენგიზ ვერულავა

2016

სტატია „ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა - ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და საქართველო“ მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რადგან ეხება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას. ზოგადად სტატიას დადებითად ვაფასებ. სტატია გამართულადაა დაწერილი, როგორც სტრუქტურულად ასევე შინაარსობრივად და საინტერესოდ იკითხება. სტატიაში გამოყენებულია ფაქტებზე დამყარებული მონაცემები, წარმოდგენილია საქართველოს რეგიონებში არსებული მდგომარეობა ოჯახის მხარდაჭერის არსებული პოლიტიკის შესახებ. რეკომენდაციები ემყარება კომპლექსურ და დეტალურ ანალიზს, რაც ამ რეკომენდაციების ვალიდურობაში არწმუნებს მკითხველს. ეს რეკომენდაციები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ აკადემიური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც, რამდენადაც ქართულ პოლიტიკურ სივრცეში აღნიშნული საკითხი ჯერ ისევ არ არის პლობლემატიზირებული და პოლიტიკური ძალების/პარტიების დღის წესრიგის ნაწილი.

სტატიაში გამოყენებულია სხვადასხვა საინფორმაციო წყაროები. თუმცა, სასურველი იქნებოდა ამ წყაროების მითითება და ბიბლიოგრაფიის თანდართვა, რაც გაზრდიდა ნაშრომის აკადემიურობას.

რეკომენდაციები

ნაშრომში მოცემულია რეკომენდაციები. თუმცა, მათში, ჩემი აზრით, სასურველია გარკვეული ფუნდამენტური კორექტივების შეტანა.

უნდა არსებობდეს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ერთიანი სტანდარტი, როგორც მინიმალური საბაზისო პაკეტი. ცალკეულ რეგიონებს თუ რაიონებს უნდა მიეცეთ საშუალება რომ ამ საბაზისო პაკეტს დაამატონ მასში არშემავალი სერვისები და გაზარდონ თანხები. ასეთი მიდგომა უფრო მოქნილს გახდის პროგრამას, ასევე შესაძლებელი იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიებისათვის სტიმულების მიცემა, მოტივაციის ამაღლება, კონკურენციის პრინციპების ჩადება და ა.შ.

ასევე, ვფიქრობ, რომ აღნიშნული მიზნობრივი პროგრამა მიზნობრივად უნდა იყოს გათვლილი გარკვეულ სოციალურ ჯგუფებზე. საორიენტაციოდ აღებულ უნდა იქნას სოციალურად დაუცველი ფენების არსებული სია და შედარებით მაღალი სარეიტინგო ქულა (ან სოციალურად დაუცველი ფენების არსებულ სიაში არსებული პირები მთლიანად); ანუ პროგრამა იყოს არა საყოველთაო, არამედ სელექტიური. ვფიქრობ სელექტიური მიდგომა უფრო მიზანშეწონილია ჩვენნაირი დაბალშემოსავლიანი ქვეყნისათვის, სადაც პროგრამაზე ისედაც მწირი თანხები იქნება გამოყოფილი და უმჯობესია ეს მწირი თანხები უფრო ხარჯთეფექტურად დაიხარჯოს, ვიდრე ყველასათვის ერთნაირად როგორც შეძლებული ფენისათვის ასევე შედარებით ღარიბი ბენეფიციარებისათვის.